

გენდერული სტერეოტიპები ქართულ ტელევიზორებში წარმოდგენილ
საბავშვო გადაცემებში

ქეთევან გაგლოშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მედია, ჟურნალისტიკა და კომუნიკაცია: პრაქტიკა, კვლევა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო დანელია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად,

ქეთევან გაგლოშვილი

6 ივლისი, 2015 წელი

აბსტრაქტი

აღნიშნული სამაგისტრო ნაშრომის მიზანია წარმოგიდგინოთ ქართულ ტელესივრცეში საბავშვო სარედაქციო პოლიტიკის ანალიზი გენდერულ ჭრილში. საქართველოში ბოლო წლებში ქალთა მიმართ საგრძნობლად მომატებული ძალადობისა და გენდერული უთანასწორობის ფონზე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო, იმის გარკვევა, თუ რა სახით უწყობენ ხელს საბავშვო გადაცემები ჩვენს კულტურაში (და არა მარტო) ფესვადგმული გენდერული სტერეოტიპების დანერგვასა და გავრცელებას, რაც, როგორც წესი, ქალისა და მამაკაცის როლების ნაცნობი გადანაწილების პროპაგანდაში გამოიხატება. კვლევის თეორიული ჩარჩო შემუშავებული იქნა გენდერული საკითხების გარშემო არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და იმ ძირითადი ტენდენციების გათვალისწინებით, რომლებიც სხვა ქვეყნებში ჩატარებული მსგავსი ტიპის კვლევების შედეგად გამოიკვეთა. აღსანიშნავია, რომ დისკუსია გამყარებულია ნაშრომის თეორიული ჩარჩოსა და მედიის შინაარსობრივი კვლევის შედეგად მიღებული თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემებით. დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, საბავშვო გადაცემები გენდერული საკითხების მიმართ პირდაპირპროპორციულად ასახავენ საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპულ დამოკიდებულებებს. ამასთანავე, სატელევიზიო იმიჯების შედეგად დამკვიდრებული გოგოსა და ბიჭის (ისევე, როგორც ქალისა და კაცის) სახეები, უფრო მეტად ახდენენ გენდერული უთანასწორობის შედეგად დამკვიდრებული როლური მახასიათებლების ნორმად ქცევას.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საბავშვო სარედაქციო პოლიტიკა, გენდერული უთანასწორობა, გენდერული სტერეოტიპები, გენდერული იდენტობა, სქესთა სატელევიზიო იმიჯები, მედიის გავლენა.

Abstract

The main purpose of following magister labor is to present in Georgian mass media kid's programs editorial politic in section of gender. Recently in Georgia violence among women is highly increased against the background of inequality, it was more significant to find out how kid's programs abettor (not only) deep-rooted gender stereotype inculcation and spreading, which generally expressed men and women role in associated distribution of propaganda. Researches on each frame (box) was collaborated around gender issue according existing medical literature and main trends, which were exposed out of similar researched held in other countries. It is remarkable that discussion is based on labors theoretical frame and media content research received from qualitative and quantities dates. As conclusion, we can say that kid's programs toward gender issues are proportionally representing stereotypic dependence extended among people. Also, as the result of TV images settled girl and boy (as men and women), following expression makes more gender inequality based on role characteristic make conduct in norm.

Key words: kid's programs editorial politic, gender inequality, gender stereotypes, gender identify, gender images on television.

მადლობა

მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს სამცნიერო ხელმძღვანელს ქალბატონ ნინო დანელიას, რომლის რჩევებმა და მოსაზრებებმა უდიდესი წვლილი შეიტანა, როგორც ნაშრომის საბოლოო სახის, ისე- საკითხის მიმართ სწორი დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაში. ამასთანავე, მასთან მუშაობის პროცესმა მომცა პროფესიული გამოცდილებისა და ახალი ცოდნის მიღების უდიდესი შესაძლებლობა, რისთვისაც ცალკე ვუხდი მადლობას ქალბატონ ნინოს.

ამასთანავე, მინდა, მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის პროფესორებსა და ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც მცირედი წვლილი მაინც შეიტანეს ნაშრომის წერის პროცესში.